

შპს „ირ ჯორჯია“

ფინანსური ანგარიშგება

2022 წლის 31 დეკემბრის დასრულებული წლისათვის

შინაარსი:

ფინანსური ინფორმაცია

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება -----	3
მოგება-ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება -----	4
ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგება -----	5
საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება -----	6

ახსნა-განმარტებითი შენიშვნები

ზოგადი ინფორმაცია -----	7
ძირითადი სააღრიცხვო პოლიტიკა -----	7
ფინანსური ინსტრუმენტები -----	7
ძირითადი საშუალებები -----	9
არამატერიალური აქტივები -----	9
მარაგები -----	10
შემოსავლები -----	10
ხარჯები -----	11
საანგარიშგებო პერიოდის შემდეგი მოვლენები -----	11
ანარიცხები, პირობითი ვალდებულებები და პირობითი აქტივები -----	11
მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები და გადაწყვეტილებები -----	12
პირობითი ვალდებულებები -----	12
ფინანსური ანგარიშგების დამტკიცება -----	12

შპს „ირ ჯორჯია“
ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება
2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით
(ლარი)

საბალანსო ანგარიშგება		2022	2021
1	ფული და ფულის ექვივალენტები	99,356	274,231
2	მოთხოვნები მიწოდება/მომსახურებიდან	919,554	772,138
3	სასაქონლო მარაგები	487,712	404,630
4	სხვა მიმდინარე აქტივები	416,787	152,070
სულ მიმდინარე აქტივები		1,923,409	1,603,069
5	მიწის ნაკვეთები	20,339	20,339
6	შენობა-ნაგებობანი	561,271	581,007
7	სხვა ძირითადი საშუალებები	113,871	130,713
8	არამატერიალური აქტივები	5,637	5,637
სულ გრძელვადიანი აქტივები		701,118	737,696
სულ აქტივები		2,624,527	2,340,764
9	დავალიანებები მოწოდება/მომსახურებიდან	102,932	52,067
10	ვალდებულებები პერსონალის მიმართ	50,076	55,214
11	სხვა მიმდინარე ვალდებულებები	-	88,600
სულ მიმდინარე ვალდებულებები		153,009	195,881
11	გრძელვადიანი სესხები	927,427	934,844
სულ გრძელვადიანი ვალდებულებები		927,427	934,844
სულ ვალდებულებები		1,080,436	1,130,724
12	მოგება/ზარალი	1,544,091	1,210,040
სულ საკუთარი კაპიტალი		1,544,091	1,210,040
სულ ვალდებულებები და კაპიტალი		2,624,527	2,340,764

დირექტორი:

რ. კვირიკაშვილი

მთავარი ბუღალტერი:

ზ. გრიგალაშვილი

შპს „ირ ჯორჯია“
ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება
2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით
(ლარი)

საბალანსო ანგარიშგება		2022	2021
1	ფული და ფულის ექვივალენტები	99,356	274,231
2	მოთხოვნები მიწოდება/მომსახურებიდან	919,554	772,138
3	სასაქონლო მარაგები	487,712	404,630
4	სხვა მიმდინარე აქტივები	416,787	152,070
სულ მიმდინარე აქტივები		1,923,409	1,603,069
5	მიწის ნაკვეთები	20,339	20,339
6	შენობა-ნაგებობანი	561,271	581,007
7	სხვა ძირითადი საშუალებები	113,871	130,713
8	არამატერიალური აქტივები	5,637	5,637
სულ გრძელვადიანი აქტივები		701,118	737,696
სულ აქტივები		2,624,527	2,340,764
9	დავალიანებები მოწოდება/მომსახურებიდან	102,932	52,067
10	ვალდებულებები პერსონალის მიმართ	50,076	55,214
11	სხვა მიმდინარე ვალდებულებები	-	88,600
სულ მიმდინარე ვალდებულებები		153,009	195,881
11	გრძელვადიანი სესხები	927,427	934,844
სულ გრძელვადიანი ვალდებულებები		927,427	934,844
სულ ვალდებულებები		1,080,436	1,130,724
12	მოგება/ზარალი	1,544,091	1,210,040
სულ საკუთარი კაპიტალი		1,544,091	1,210,040
სულ ვალდებულებები და კაპიტალი		2,624,527	2,340,764

დირექტორი:

რ. კვირიკაშვილი

მთავარი ბუღალტერი:

ზ. გრიგალაშვილი

შპს „ირ ჯორჯია“

მოგება ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება

საანგარიშგებო წლისათვის რომელიც დასრულდა 2022 წლის 31 დეკემბერს

(ლარი)

		2022	2021
სულ შემოსავალი		8,902,093	8,345,254
1	შემოსავლების საქონლის მიწოდებიდან	8,689,677	8,083,222
2	შემოსავლების მომსახურების გაწევიდან	212,417	262,032
3	რეალიზებული საქონლის თვითღირებულება	7,183,698	6,762,426
	კომერციული, საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები	1,383,930	1,327,676
4	შრომის ანაზღაურება	883,141	831,936
5	კომუნალური ხარჯები	30,942	36,015
6	ცვეთა/ამორტიზაცია	131,443	135,714
7	საპროცენტო ხარჯი	61,805	75,161
8	სხვა ხარჯები	276,600	248,850
	საოპერაციო მოგება	334,466	255,151
9	არასაოპერაციო შემოსავლები	403	50,951
10	არასაოპერაციო ხარჯები	470	3,985
	მოგება დაბეგვრამდე	334,398	302,117
11	მოგების გადასახადი		
	მოგება/(ზარალი)	334,398	302,117

დირექტორი:

რ. კვირიკაშვილი

მთავარი ბუღალტერი:

ზ. გრიგალაშვილი

შპს „ირ ჯორჯია“

მოგება ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება

საანგარიშგებო წლისათვის რომელიც დასრულდა 2022 წლის 31 დეკემბერს

(ლარი)

		2022	2021
სულ შემოსავალი		8,902,093	8,345,254
1	შემოსავლების საქონლის მიწოდებიდან	8,689,677	8,083,222
2	შემოსავლების მომსახურების გაწევიდან	212,417	262,032
3	რეალიზებული საქონლის თვითღირებულება	7,183,698	6,762,426
	კომერციული, საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები	1,383,930	1,327,676
4	შრომის ანაზღაურება	883,141	831,936
5	კომუნალური ხარჯები	30,942	36,015
6	ცვეთა/ამორტიზაცია	131,443	135,714
7	საპროცენტო ხარჯი	61,805	75,161
8	სხვა ხარჯები	276,600	248,850
	საოპერაციო მოგება	334,466	255,151
9	არასაოპერაციო შემოსავლები	403	50,951
10	არასაოპერაციო ხარჯები	470	3,985
	მოგება დაზღვევრამდე	334,398	302,117
11	მოგების გადასახადი		
	მოგება/(ზარალი)	334,398	302,117

დირექტორი:

მთავარი ბუღალტერი:

რ. კვირიკაშვილი

ზ. გრიგალაშვილი

შპს „ირ ჯორჯია“

საკუთარი კაპიტალის ცვლილების ანგარიშგება

საანგარიშგებო წლისათვის, რომელიც დასრულდა 2022 წლის 31 დეკემბერს

(ლარი)

	2022	2021
კაპიტალი საწყისი ნაშთი (პერიოდის საწყისი ნაშთი)	1,210,040	907,923
საწესდებო კაპიტალის ცვლილება		
განაწილება მესაკუთრეებზე (მათ შორის დივიდენდი)		
საანგარიშო პერიოდის მოგება/ზარალი	334,398	302,117
სხვა რეზერვები		
კაპიტალის სხვა ცვლილებები	(347)	
კაპიტალი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს	1,544,091	1,210,040

დირექტორი:

რ. კვირიკაშვილი

მთავარი ბუღალტერი:

ზ. გრიგალაშვილი

შპს „ირ ჯორჯია“

საკუთარი კაპიტალის ცვლილების ანგარიშგება

საანგარიშგებო წლისათვის, რომელიც დასრულდა 2022 წლის 31 დეკემბერს

(ლარი)

	2022	2021
კაპიტალი საწყისი ნაშთი (პერიოდის საწყისი ნაშთი)	1,210,040	907,923
საწესდებო კაპიტალის ცვლილება		
განაწილება მესაკუთრეებზე (მათ შორის დივიდენდი)		
საანგარიშო პერიოდის მოგება/ზარალი	334,398	302,117
სხვა რეზერვები		
კაპიტალის სხვა ცვლილებები	(347)	
კაპიტალი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს	1,544,091 *	1,210,040

დირექტორი:

რ. კვირიკაშვილი

მთავარი ბუღალტერი:

ზ. გრიგალაშვილი

შპს „ირ ჯორჯია“
 ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგება
 საანგარიშგებო წლისათვის, რომელიც დასრულდა 2022 წლის 31 დეკემბერს
 (ლარი)

	2022	2021
ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან		
მყიდველებიდან მიღებული ფულადი სახსრები	10,337,665	9,692,603
მომწოდებლებისთვის და დაქირავებულებისათვის გადახდილი ფულადი სახსრები	(9,618,152)	(8,919,708)
საბიუჯეტო გადახდები	(414,903)	(406,689)
სხვა საოპერაციო შემოსავალი	147,850	46,725
სხვა საოპერაციო ხარჯი	(558,721)	(8,614)
წმინდა ფულადი სახსრები საოპერაციო საქმიანობიდან	(106,260)	404,317
ფულადი ნაკადების საინვესტიციო საქმიანობიდან		
ძირითადი საშუალების შეძენა	-	(89,082)
ძირითადი საშუალებების რეალიზაცია		
წმინდა ფულადი სახსრები საინვესტიციო საქმიანობიდან	0	(89,082)
ფულადი ნაკადები საფინანსო საქმიანობიდან		
სხვა შემოსავალი	606	236
შემოსავალი სესხებიდან	1,040,000	370,000
გადახდილი პროცენტები	(61,805)	(75,161)
გადახდილი სასესხო ვალდებულებები	(1,047,416)	(539,325)
სხვა ხარჯები	(204)	
წმინდა ფულადი სახსრები საფინანსო საქმიანობიდან	(68,615)	(244,250)
ფულადი სახსრებისა და მათი ეკვივალენტების წმინდა ზრდა	-174,875	70,985
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები საანგარიშგებო პერიოდის დასაწყისისათვის	274,231	203,246
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები საანგარიშგებო პერიოდის ბოლოსათვის	99,356	274,231

დირექტორი:

რ. კვირიკაშვილი

მთავარი ბუღალტერი:

ზ. გრიგალაშვილი

შპს „ირ ჯორჯია“

ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგება

საანგარიშგებო წლისათვის, რომელიც დასრულდა 2022 წლის 31 დეკემბერს
(ლარი)

	2022	2021
ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან		
მყიდველებიდან მიღებული ფულადი სახსრები	10,337,665	9,692,603
მომწოდებლებისთვის და დაქირავებულებისათვის გადახდილი ფულადი სახსრები	(9,618,152)	(8,919,708)
საბიუჯეტო გადახდები	(414,903)	(406,689)
სხვა საოპერაციო შემოსავალი	147,850	46,725
სხვა საოპერაციო ხარჯი	(558,721)	(8,614)
წმინდა ფულადი სახსრები საოპერაციო საქმიანობიდან	(106,260)	404,317
ფულადი ნაკადების საინვესტიციო საქმიანობიდან		
ძირითადი საშუალების შეძენა	-	(89,082)
ძირითადი საშუალებების რეალიზაცია		
წმინდა ფულადი სახსრები საინვესტიციო საქმიანობიდან	0	(89,082)
ფულადი ნაკადები საფინანსო საქმიანობიდან		
სხვა შემოსავალი	606	236
შემოსავალი სესხებიდან	1,040,000	370,000
გადახდილი პროცენტები	(61,805)	(75,161)
გადახდილი სასესხო ვალდებულებები	(1,047,416)	(539,325)
სხვა ხარჯები	(204)	
წმინდა ფულადი სახსრები საფინანსო საქმიანობიდან	(68,615)	(244,250)
ფულადი სახსრებისა და მათი ეკვივალენტების წმინდა ზრდა	-174,875	70,985
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები საანგარიშგებო პერიოდის დასაწყისისათვის	274,231	203,246
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები საანგარიშგებო პერიოდის ბოლოსათვის	99,356	274,231

დირექტორი:

რ. კვირიკაშვილი

მთავარი ბუღალტერი:

ზ. გრიგალაშვილი

1. ზოგადი ინფორმაცია

შპს „ირ ჯორჯია“ (შემდეგ - კომპანია) წარმოადგენს შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებას, რომელიც დაფუძნდა 2015 წლის 26 იანვარს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად, საიდენტიფიკაციო ნომრით 412705283.

კომპანიის ძირითად საქმიანობას წარმოადგენს კვების პროდუქტებით საბითუმო ვაჭრობა.

კომპანიის იურიდიული მისამართია: საქართველო, ქ. ქუთაისი, გრ. ჩორგოლიანის ქ., N14, ბ. 29.

კომპანიის დამფუძნებლები არიან: გრიგოლი კვირიკაშვილი - 50% და რევაზი კვირიკაშვილი - 50%. კომპანიის დირექტორია რევაზი კვირიკაშვილი.

ძირითადი სააღრიცხვო პოლიტიკა

მომზადების საფუძვლები

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპისა და ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს (IASB) მიერ გამოცემული მცირე და საშუალო საწარმოების ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტის (მსს ფასს / IFRS for SME's) შესაბამისად.

ფინანსური ანგარიშგება მოიცავს სრული შემოსავლის, ფინანსური მდგომარეობის, კაპიტალში ცვლილებებისა და ფულადი ნაკადების მოძრაობის ანგარიშგებებს და ასევე განმარტებით შენიშვნებს სააღრიცხვო პოლიტიკისა და გამოყენებული მნიშვნელოვანი სააღრიცხვო მსჯელობებისა და დაშვებების ჩათვლით.

კომპანიის საანგარიშგებო პერიოდი მოიცავს კალენდარულ წელს 1 იანვრიდან 31 დეკემბრამდე.

ძირითადი სააღრიცხვო პოლიტიკები, რომლებიც გამოყენებულია ამ ფინანსური ინფორმაციის მომზადებისას, მოცემულია ქვემოთ.

ფინანსური ინსტრუმენტები

ტერმინების განმარტებები:

აქტივის თვითღირებულება არის აქტივის შეძენის ან შექმნის დროს გადახდილი ფული ან ფულის ეკვივალენტების ან სხვა სახის საზღაურის რეალური ღირებულების თანხა და მოიცავს საოპერაციო ხარჯებს.

ამორტიზებადი ღირებულება არის თანხა, რომლითაც ფინანსური ინსტრუმენტი იყო აღიარებული.

დარიცხული პროცენტი მოიცავს საწყის აღიარებაზე გადავადებული ოპერაციის ღირებულების ცვეთას და ნებისმიერი პრემიის ან ფასდათმობის ცვეთას, ეფექტური საპროცენტო მეთოდის გამოყენებით.

ოპერაციის ღირებულება არის დამატებითი დანახარჯები, რომელიც პირდაპირ მიეკუთვნება ფინანსური ინსტრუმენტების შესყიდვის, შექმნის ან გაყიდვის ღირებულებას. ოპერაციის თვითღირებულება არ მოიცავს ფასდათმობას, ფინანსურ ხარჯებს ან შიდა ადმინისტრაციულ ან შენახვის ხარჯებს.

ცვეთადი ღირებულება არის თანხა, რომლითაც ფინანსური ინსტრუმენტი იყო აღიარებული.

ფინანსური აქტივები

კომპანია განსაზღვრავს მისი ფინანსური აქტივების კლასიფიკაციას თავდაპირველი აღიარებისას ქვემოთ განმარტებული ჯგუფების მიხედვით. კომპანია არ ფლობს დაფარვის ვადამდე ფლობილ ინვესტიციებს,

გასაყიდად არსებულ ან რეალური ღირებულებით აღრიცხულ ფინანსურ აქტივებს მოგებაში ან ზარალში ასახვით.

კომპანია ადგენს საკუთარი ფინანსური აქტივების კლასიფიკაციის ტიპს თავდაპირველი აღიარებისას.

სავაჭრო მოთხოვნები

მათი თავდაპირველი აღიარება ხდება რეალური ღირებულებით იმ ტრანზაქციის დანახარჯების ჩათვლით, რომელიც პირდაპირაა დაკავშირებული მის შეძენასა ან გაცემასთან, ხოლო შემდგომ აღიარებულია გაუფასურების რეზერვით შემცირებული ამორტიზებადი ღირებულებით.

ფული და ფულის ეკვივალენტები

ფული და ფულის ეკვივალენტები არის ისეთი აქტივები, რომლებიც დაუბრკოლებლად გადაიცვლება ნაღდი ფულის წინასწარ ცნობილ ოდენობაზე და მათი ღირებულების შეცვლის რისკი უმნიშვნელოა. ფული და ფულის ეკვივალენტები მოიცავს ნაღდ ფულს, ფულად სახსრებს საბანკო ანგარიშებზე.

ფინანსური აქტივების გაუფასურება

კომპანია ანგარიშების შედგენის თარიღით ახდენს ფინანსური აქტივების გაუფასურების რეზერვის შეფასებას. თუ არსებობს ობიექტური საფუძველი იმისა, რომ ამორტიზებული ღირებულებით ასახული აქტივის გაუფასურებით გამოწვეული იქნება ზარალი, ზარალის მოცულობა აისახება, როგორც სხვაობა აქტივის საბალანსო ღირებულებასა და სავარაუდო სამომავლო ფულადი ნაკადების მიმდინარე მოცულობას შორის (სამომავლო ზარალის გამოკლებით, რომელსაც ადგილი არ ჰქონია), რომელიც დისკონტირებულია ფინანსური აქტივის ეფექტური საპროცენტო განაკვეთით (ე.ი. იმ ეფექტური საპროცენტო განაკვეთით, რომელიც გაანგარიშებულია თავდაპირველად აღიარებისას). აქტივის საბალანსო ღირებულების შემცირება შესაძლებელია, რეზერვის ანგარიშის გამოყენებით. ზარალის აღიარება უნდა მოხდეს მოგება-ზარალის ანგარიშგებაში.

თუ შემდგომ პერიოდში გაუფასურების ზარალის თანხა მცირდება და შემცირება შესაძლოა ობიექტურად დაუკავშირდეს გაუფასურების აღრიცხვის შემდგომ მოვლენას. ხდება წინასწარ აღიარებული გაუფასურების ზარალის კომპენსირება. გაუფასურების ზარალის ნებისმიერი შემდგომი კომპენსირება აისახება მოგება-ზარალის ანგარიშგებაში იმ პირობით, რომ აქტივის საბალანსო ღირებულება არ აღემატება მის ამორტიზებულ ღირებულებას კომპენსირების დღეს.

ფინანსური აქტივების აღიარების შეწყვეტა

კომპანია წყვეტს ფინანსური აქტივის აღიარებას როდესაც: ა) აქტივიდან მისაღები ფულადი სახსრების მიღების საკონტრაქტო უფლებებს ვადა გასდის ან ბ) კომპანია გადასცემს ფინანსური აქტივებიდან მისაღები ფულადი სახსრების საკონტრაქტო უფლებებს ან აწყობს გარიგებას.

ფინანსური ვალდებულებები

ფინანსური ვალდებულებები ფინანსურ ანგარიშგებაში წარმოდგენილია სესხების, სავაჭრო და სხვა ფინანსური ვალდებულებების სახით. ფინანსური ვალდებულებები თავდაპირველად შეფასებულია რეალური ღირებულებით, განეტებული ტრანზაქციების ხარჯებით. ფინანსური ვალდებულებები შემდგომ აღიარდება ამორტიზებული ღირებულებით, ეფექტური საპროცენტო მეთოდის მიხედვით.

ფინანსური ვალდებულებების აღიარების შეწყვეტა

კომპანია ფინანსური ვალდებულებების აღიარებას წყვეტს მაშინ, როდესაც ვალდებულება სრულდება, უქმდება ან გასდის ვადა. სადაც არსებული ფინანსური ვალდებულება ენაცვლება მეორეს იმავე მსესხებლის მიმართ მნიშვნელოვნად განსხვავებული პირობებით ან არსებული ვალდებულების პირობები მნიშვნელოვნად იცვლება, ამგვარი ცვლილება ან მოდიფიკაცია ითვლება თავდაპირველი ვალდებულების აღიარების შეწყვეტად და ახალი ვალდებულების აღიარებად და სხვაობა საბალანსო ღირებულებასა და გადახდილ, ან გადასახდელ ანაზღაურებას შორის აისახება მოგებასა და ზარალში.

გადაფარვა

ფინანსური აქტივები და ვალდებულებები არის გადაფარული და ნეტო თანხითაა წარმოდგენილი ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში მხოლოდ მაშინ როდესაც, არის კანონიერი უფლება, რომ აგრეგირდეს აღიარებული თანხები და არის განზრახვა წარდგენილ იქნეს ნეტო თანხით ან გაიყიდოს აქტივი და დაიფაროს ვალდებულება ერთდროულად.

ძირითადი საშუალებები

ა) თავდაპირველი აღიარება და შეფასება

ძირითადი საშუალებები თავდაპირველად აღიარდება თვითღირებულებით. თვითღირებულება შეძენის ფასთან ერთად მოიცავს პირდაპირ დანახარჯებს და მათთან დაკავშირებული ნებისმიერი მომავალი ვალდებულების მიმდინარე ღირებულებას, ისევე როგორც მიმდინარე შესყიდვის ფასს, ასევე აქტივთან უშუალოდ დაკავშირებულ დანახარჯებს, რომელიც აუცილებელია აქტივის სამუშაო მდგომარეობაში მოსაყვანად.

მოგება ან ზარალი ძირითადი საშუალებების გასვლის შედეგად განისაზღვრება საბალანსო ღირებულებისა და მიღებული თანხის შედარებით და ჩაირთვება სხვა შემოსავლების/ხარჯების კატეგორიაში, სრული შემოსავლის ანგარიშგებაში.

ა) შემდგომი ხარჯები

შემდგომი ხარჯები ჩაირთვება აქტივის საბალანსო ღირებულებაში ან აღიარდება, როგორც დამოუკიდებელი აქტივი, მხოლოდ მაშინ, როდესაც შესაძლებელია აღნიშნული ტიპის დანახარჯისაგან მომავალი ეკონომიკური სარგებლის მიღება და შესაძლებელია მისი ღირებულების საიმედოდ განსაზღვრა. შეცვლილი კომპონენტის საბალანსო ღირებულება ჩამოიწერება. ყველა სახის სხვა დანახარჯი, რომელიც დაკავშირებულია მიმდინარე ტიპის რემონტებთან, აღიარდება, როგორც ხარჯი მისი გაწევის პერიოდში.

ბ) ცვეთა

ძირითად საშუალებებზე ცვეთის დარიცხვა იწყება მაშინ, როდესაც შესაძლებელია მისი გამოყენება, ანუ, როდესაც ის არის იმ ადგილას ან ისეთ სამუშაო მდგომარეობაში მოყვანილი, რაც აუცილებელია მის გამოსაყენებლად.

მიწას ცვეთა არ ერიცხება, ხოლო დანარჩენ ძირითად საშუალებებს ცვეთა ერიცხება შემცირებადი ნაშთის მეთოდით.

არამატერიალური აქტივები

კომპანიის არამატერიალურ აქტივებს წარმოადგენენ სააღრიცხვო პროგრამები. არამატერიალური აქტივები თავდაპირველად აღიარებულია თვითღირებულებით.

მარაგები

მარაგები საწყისი აღიარება ხდება თვითღირებულებით და შემდგომ თვითღირებულებასა და ნეტო სარეალიზაციო ღირებულებას შორის უმცირესით. თვითღირებულება მოიცავს შემენისა და სხვა ხარჯებს, რომლებიც დაკავშირებულია მარაგების ტრანსპორტირებასა და დასაწყობებასთან. მაგალითად, ტრანსპორტირებისა და იმპორტის ხარჯები, ასევე სხვა პირდაპირი ხარჯები.

წარმოების პროცესში ნედლეულიდან მზა პროდუქციაზე გადასვლის ეტაპს წარმოადგენს დაუმთავრებელი წარმოება. ყოველთვიურად, წარმოების ყველა დანახარჯი აკუმულირდება და თავს იყრის დაუმთავრებელი წარმოების ანგარიშზე.

მარაგების თვითღირებულება გამოითვლება საშუალო შეწონილი მეთოდით.

დაბეგვრა

საგადასახადო ხარჯი შედგება პერიოდის მიმდინარე გადასახადისგან. კომპანიის მიმდინარე გადასახადი გაანგარიშებულია საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობის შესაბამისად.

გადასახადები აღიარდება საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად. წინასწარ გადახდილი გადასახადები წარდგება, როგორც საგადასახადო აქტივები.

შემოსავალი

საქონლის გაყიდვიდან მიღებული შემოსავლის აღიარება ხდება, როდესაც კომპანია მყიდველს გადასცემს საქონლის ფლობასთან დაკავშირებულ მნიშვნელოვან რისკებსა და სარგებელს, და ასევე, როდესაც მოსალოდნელია, რომ მოცემული ოპერაციიდან საწარმო მიიღებს წინასწარ შეთანხმებულ სარგებელს. ეს კრიტერიუმები ჩათვლება დაკმაყოფილებულად, როდესაც პროდუქცია გადაეცემა მყიდველს, ხოლო როდესაც მყიდველს გააჩნია საქონლის უკან დაბრუნების უფლება, კომპანია გადაავადებს შემოსავლის აღიარებას იმ დრომდე, სანამ საქონლის დაბრუნების ვადა არ ამოიწურება.

თუ ამონაგები უკვე ასახულია და ამის შემდეგ საექვო გახდა თანხის მიღება, ამოსაღები თანხა აისახება როგორც ხარჯი და არა როგორც თავდაპირველად აღიარებული ამონაგების თანხის კორექტირება.

ხარჯების აღიარება

კომპანია თავისი ძირითადი ოპერაციების განხორციელებისას ახდენს როგორც საოპერაციო, ასევე სხვა ხარჯების გაწევას, მოგება-ზარალის ანგარიშგებაში ხარჯები აღიარდება თუ ის იწვევს მომავალი ეკონომიკური სარგებლის შემცირებას, რომელიც დაკავშირებულია აქტივების შემცირებასთან ან ვალდებულებების ზრდასთან და შესაძლებელია მისი საიმედოდ შეფასება.

თუ ეკონომიკური სარგებელი მოსალოდნელია რომ წარმოიქმნება რამდენიმე სააღრიცხვო პერიოდის განმავლობაში, მასთან დაკავშირებული ხარჯები სრული შემოსავლის ანგარიშგებაში აღიარდება გონივრული განაწილების საფუძველზე.

სახელფასო განაცემები

ხელფასები, პრემიები და არაფულადი სარგებელი აღიარდება დარიცხვის მეთოდით იმ პერიოდში, როდესაც შესაბამისი სერვისი მიიღო კომპანიამ დასაქმებულისგან.

საანგარიშგებო პერიოდის შემდეგი მოვლენები

საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები და ფინანსური ანგარიშგების ავტორიზაციის თარიღამდე მომხდარი მოვლენები, რომლებიც დამატებით ინფორმაციას იძლევიან კომპანიის ფინანსური პოზიციის შესახებ, აისახება ფინანსურ ანგარიშგებაში. საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები, რომლებიც გავლენას არ ახდენენ კომპანიის ფინანსურ მდგომარეობაზე ბალანსის შედგენის თარიღისთვის, მაგრამ არსებითი მნიშვნელობისაა, აისახება ფინანსური ანგარიშგების თანდართულ შენიშვნებში.

ანარიცხები, პირობითი ვალდებულებები და პირობითი აქტივები

პირობითი ვალდებულებები არ აისახება ფინანსურ ანგარიშგებაში, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც მოსალოდნელია ეკონომიკური სარგებლის გასვლა კომპანიიდან, და შესაძლებელია ამ ვალდებულების საიმედოდ შეფასება. პირობითი ვალდებულებების შესახებ ინფორმაცია მოცემულია ფინანსური ანგარიშგების განმარტებით შენიშვნებში, გარდა ისეთი პირობითი ვალდებულებებისა, რომლებთან დაკავშირებული ეკონომიკური სარგებლის გასვლა კომპანიიდან არ არის მოსალოდნელი.

შეფასებისა და წარდგენის ვალუტა

(ა) ფუნქციონალური და წარდგენის ვალუტა

თავის ოპერაციებში კომპანია ფუნქციონალურ ვალუტად იყენებს ქართულ ლარს, რომელსაც მნიშვნელოვანი გავლენა აქვს კომპანიის ოპერაციებზე. ამგვარად, მოცემული ფინანსური ანგარიშგებისათვის შეფასების ვალუტად კომპანია იყენებს ქართულ ლარს.

(ბ) ტრანზაქციები და ბალანსი

ფულადი აქტივები და ვალდებულებები კონვერტირებულია ფუნქციონალურ ვალუტაში ოფიციალური გაცვლით კურსით ბალანსის შედგენის დღისთვის. მოგება და ზარალი კურსთა შორის სხვაობიდან ოპერაციების ანაზღაურებისას და ფულადი აქტივების და ვალდებულებების კონვერტაციისას წლის ბოლოს არსებული ოფიციალური კურსით აღიარებულია მოგებად ან ზარალად. წლის ბოლოს კონვერტაცია არ ეხება არაფულად აქტივებს.

2022 წლის 31 დეკემბერს და 2021 წლის 31 დეკემბერს უცხოურ ვალუტაში არსებული ნაშთების კონვერტაციისთვის გამოყენებული ბოლო გაცვლითი კურსი იყო შემდეგი:

საქართველოს ეროვნული ბანკის ოფიციალური კურსი

პერიოდი	დოლარი	ევრო
კურსი 2022 წლის 31 დეკემბრისთვის	2,7020	2,8844
კურსი 2021 წლის 31 დეკემბრისთვის	3.0976	3.5040

2. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები და გადაწყვეტილებები

• **მოთხოვნების გაუფასურების ანარიცხები** - კომპანია რეგულარულად აფასებს მოთხოვნებს გაუფასურებაზე. გაუფასურების ნიშნების არსებობის შემთხვევაში ხელმძღვანელობა აფასებს დებიტორული დავალიანების მომავალ ფულად ნაკადებს, ხოლო თუ საჭიროა ინდივიდუალური დებიტორის მომავალ ფულად ნაკადებს. გაუფასურების ნიშნები შეიძლება იყოს დებიტორის მიერ გადახდების გაუარესება, ეროვნული ან ადგილობრივი ეკონომიკური ფაქტორები, რომლებიც უარყოფით გავლენას ახდენს მასზე. ხელმძღვანელობა წარსული გამოცდილების საფუძველზე აფასებს მოთხოვნების გაუფასურებას. მომავალი ფულადი ნაკადების მოცულობის და დროში განაწილების შეფასების მეთოდოლოგია ხელმძღვანელობის მიერ გადაიხედება პერიოდულად, რათა შემცირდეს სხვაობა შეფასებულ და ფაქტიურ დანაკარგებს შორის.

• **სასამართლო დავები** - კომპანიას სასამართლო დავები არ გააჩნია.

3. პირობითი ვალდებულება

კომპანიის წინააღმდეგ არანაირი სარჩელის წარმოება არ მიმდინარეობს.

4. ფინანსური ანგარიშგების დამტკიცება

შპს „ირ ჯორჯიას“ დირექტორმა ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგება დაამტკიცა და მისი გამოცემის ნებართვა გასცა 2023 წლის 12 ივნისს.